

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N26

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

19.10.2018წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -*ალექსანდრე ლილუაშვილი*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი: -*ალექსანდრე ლილუაშვილი*, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარბეიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, გელა ღვიტიძე, მერაბ ხურციძე, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე, თამთა დვალიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი. (დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - *ლუბა გოგოძე*.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი -*ვანდა გიორგაძე*.

სხდომის თავმჯდომარე *ალექსანდრე ლილუაშვილი* საკრებულოს რიგგარეშე სხდომას 14:00 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

მომხს: /ვანდა გიორგაძე/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის , 63 -ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, საკრებულომ უნდა მისცეს მერიას თანხმობა დადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ამხანაგობა „ნიუ გრუფთან“ ფერეთას ადმინსტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რებილიტაციის სამუშაოების განხორციელების მიზნით.

- წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 22

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

(დანართი: განკარგულება N27 65)

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე

